

აუცილებელი მოგერიება  
საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№86-კოლ

10 დეკემბერი, 2001 წელი,

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**თავმჯდომარე** ლადო ჭანტურია

**მოსამართლეები:** ვალერიან ხრუსტალი  
მერაბ ტურავა  
ბადრი მეტრეველი  
ნინო გვენეტაძე  
გოდერძი ბორჩხაძე  
თამარ ლალიაშვილი  
ნუგზარ სხირტლაძე  
მურმან ისაევი

**სხდომის მდივანი** – მ.ხოსროშვილი

სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროკურორი** – გ.ხ-ი

**მსჯავრდებული** – ა. მ.

**მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი** – ვ. მ.

**დაზარალებულების უფლებამონაცვლეები** – ნ. რ. და რ. ყ.

**დაზარალებულების უფლებამონაცვლეების ინტერესების დამცველი ადვოკატი** – ტ. ც.

განიხილა მსჯავრდებულ ა. მ.-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. მ.-სა და დაზარალებულების უფლებამონაცვლეების – ნ. რ.-ისა და რ. ყ.-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ტ. ც.-ის საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე ა. მ.-ის მიმართ.

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ე, – ნასამართლობის არმქონე, პატიმრობაში მყოფი 1999 წლის 10 სექტემბრიდან, – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ პუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (1999 წლის კოდექსი) და სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის კოდექსი) წარდგენილ ბრალდებებში გამართლდა მის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ა. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1999 წლის კოდექსი) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 107-ე მუხლით (1960 წლის კოდექსი) – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის მე-40 მუხლის საფუძველზე (1960 წლის კოდექსი) საბოლოოდ, ერთობლივად განესაზღვრა 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

განაჩენით ა. მ.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება; მანვე ჩაიდინა დ. რ.-ს მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. კერძოდ: 1997 წლის 11 ივლისს, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, ა. მ.-მ სამსახურებრივი ავტომანქანა გააჩერა თავისი მეგობრის რ. ქ.-ის საცხოვრებელი ბინის ეზოში, მდებარე ქ. ქუთაისში და ჩააბარა იქვე მცხოვრებ დ. ფ.-ს. რ. ქ.-ის სადარბაზოსთან მისვლისას დაინახა იქვე გაჩერებული ავტომანქანა, რომელშიც იჯდა მისი ნაცნობი გ. ბ. და შეეკითხა, თუ ვის ელოდებოდა. გ. ბ.-მ უპასუხა, რომ აღნიშნული ავტომანქანის მფლობელი ა. ყ. და დ. რ. ჰყავდა მოყვანილი რ. ქ.-სთან და მათ ელოდებოდა. თან განუმარტა, რომ ისინი მთვრალები იყვნენ. ა. მ. შევიდა სადარბაზოში, მაგრამ მალე, რ. ქ.-ის ბინაში შეუსვლელად, უკან გამობრუნდა, რადგან არ სურდა მთვრალ დ. რ.-სთან შეხვედრა, ვინაიდან მასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა – ეს უკანასკნელი სთხოვდა სამსახურში „წილში ჩაჯდომას“. ამიტომ გადავიდა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ძლიერი წვიმის გამო შეეფარა თევზის ბარის წინ არსებულ ნაძვის ხეს და დაელოდა მათ წასვლას. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ ხსენებული ავტომანქანით მასთან მივიდნენ ა. ყ., გ. ბ. და დ. რ.. ამ უკანასკნელმა შესთავაზა მანქანაში ჩაჯდომა. იგი მოთავსდა დ. რ.-ის უკან, სალონის მარჯვენა მხარეს, ხოლო ა. ყ.-მა საჭე დაუთმო გ. ბ.-ს და თვითონაც ავტომანქანის უკანა სალონში გადავიდა. დ. რ.-ის მითითებით, ისინი მივიდნენ კინოთეატრთან, ხოლო შემდეგ გაემართნენ ..... დასახლებაში არსებული სასაფლაოსკენ. მანქანაში ყოფნისას დ. რ.-მ და ა. ყ.-მა ა.მ.-ს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, დაემუქრნენ მოკვლით. ა. მ.-თვის ცნობილი იყო, რომ ა. ყ. და დ. რ. იყვნენ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. ამასთანავე, იცოდა, რომ დ. რ. იძებნებოდა სხვა დანაშაულის ჩადენისათვის და ის შეიარაღებული დადიოდა. ამიტომ გ. ბ.-ს მოსთხოვა ავტომანქანის გაჩერება შენობასთან. დ. რ.-მ, მანქანის გაჩერების შემდეგ მათ შორის დაწყებული კამათის გამო, თავისი სავარძლიდან ამოიღო სათანადო ნებართვის გარეშე, უკანონოდ შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის დაუდგენელი ნომრისა და სერიის პისტოლეტი, იარაღშემართული შებრუნდა ა. მ.-კენ და მოკვლით დაემუქრა. ა. მ.-ემ სცადა დ. რ.-თვის პისტოლეტის წართმევა, რა დროსაც დ. რ.-მ მოახდინა რამდენიმე გასროლა, რის შედეგადაც ტყვიები მოხვდა როგორც ა. მ.-ს, რომელმაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ასევე – ა. მ.-ის გვერდით მჯდომ ა. ყ.-ს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილმა ა. მ.-მ ისარგებლა დ. რ.-ის სიმთვრალით, გამწარებულმა მარჯვენა ხელით წაართვა პისტოლეტი და რამდენჯერმე

ესროლა, რადგან ფიქრობდა, რომ დ. რ.-ეს ჰქონდა მეორე იარაღი და გამოიყენებდა მის წინააღმდეგ. მიყენებული ჭრილობების შედეგად დ. რ ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ იგი გადმოვიდა მანქანიდან, გ. ბ.-ს უთხრა, რომ მიეხედა ა. ყ-ისა და დ. რ.-სათვის, თვითონ კი „ტაქსით“ წავიდა ო. ქ.-ის საცხოვრებელი სახლის ეზოში, სადაც მანქანა ჰყავდა გაჩერებული, საიდანაც დ. ფ.-ს წამოაყვანინა თავისი სამსახურებრივი ავტომანქანა. ისინი მივიდნენ ქუთაისში, .... ქუჩაზე არსებულ საცურაო აუზთან. შემდეგ ა. მ. მიიმალა. ზემოთ ხსენებული პისტოლეტი, რომელსაც იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკანონოდ ატარებდა, დაუდგენელ ვითარებაში გაასხვისა.

მსჯავრდებულ ა.მ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი ვ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ა. მ.-ის მიმართ განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, რადგან მან დ. რ.-ის მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, იგი იცავდა პირად სიცოცხლეს სამიშ ბოროტმოქმედთა თავდასხმისაგან.

მსჯავრდებული ა. მ. მხარს უჭერს ადვოკატ ვ. მ.-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

დაზარალებულების უფლებამონაცვლეების – ნ. რ.-სა და რ. ყ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი ტ. ც. საკასაციო საჩივრითა და შესაგებლით ითხოვს ა. მ.-ის მიმართ განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად იმ მოტივით, რომ გამოძიების დროს დაირღვა კანონის მოთხოვნა საქმის ყოველმხრივ, ორიექტურად და სრულად გამოკვლევის შესახებ; მ. მ.-მ ჩაიდინა ორი პირის – დ. რ.-ისა და ა. ყ.-ს განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. ასევე ითხოვს 2001 წლის 4 სექტემბრის განჩინების გაუქმებას.

დაზარალებულების უფლებამონაცვლეები – ნ. რ. და რ. ყ. მხარს უჭერენ ადვოკატ ტ. ც.-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და ითხოვენ საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

იმერეთის საოლქო პროკურორის უფროსი თანაშემწე მ. კ. საკასაციო საჩივრით ითხოვს ა. მ.-ის მიმართ განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ არასწორია ა. მ.-ის გამართლება რ. ყ.-ის მკვლელობის ნაწილში, ვინაიდან მან რ. ყ.-ს მკვლელობა ჩაიდინა განზრახ, შურისძიების მოტივით.

პროკურორი გ. ხ. მხარს არ უჭერს იმერეთის საოლქო პროკურორის უფროსი თანაშემწის, მ.კ.-ს, საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, ხსნის საკასაციო საჩივარს და ითხოვს ა. მ.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვებას.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ მოუსმინა რა პროცესის მონაწილეებს, შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრებისა და შესაგებლის მოტივები, თვლის, რომ მსჯავრდებულის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. მ.-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაზარალებულების უფლებამონაცვლეების ინტერესების დამცველის,

ადვოკატ ტ. ც.-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენით დადგენილია, რომ მსჯავრდებული ა. მ. რ. ყ.-ის კუთვნილ ავტომანქანაში ჩაჯდა დ. რ.-ის შეთავაზებით. იგი მოთავსდა დ. რ.-ის უკან, სალონის მარჯვენა მხარეს, ხოლო ა. ყ.-მა საჭე დაუთმო გ. ბ.-ს და თვითონაც ავტომანქანის უკანა სალონში გადავიდა. დ. რ.-ის მითითებით ისინი გაემართნენ ავტოქარხნის მარჯვენა დასახლებაში არსებული სასაფლაოსაკენ. მანქანით მსვლელობის დროს დ. რ.-მ და ა. ყ.-მა ა. მ.-ეს მიაყენეს როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრნენ მოკვლით. დ. რ.-მ მანქანის გაჩერების შემდეგ თავისი სავარძლიდან ამოიღო სათანადო ნებართვის გარეშე, უკანონოდ შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, შებრუნდა ა. მ.-კენ იარაღშემართული და მოკვლით დაემუქრა. ა. მ.-ემ სცადა დ. რ.-სთვის პისტოლეტის წართმევა, რა დროსაც დ. რ.-მ მოახდინა რამდენიმე გასროლა, რის შედეგადაც ტყვიები მოხვდა როგორც ა. მ.-ს, რომელმაც მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ზარისხის დაზიანება, ასევე – ა. მ.-ის გვერდით მჯდომ ა. ყ.-ს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილმა ა. მ.-ემ ისარგებლა დ. რ.-ის სიმთვრალით, გამწარებულმა მარჯვენა ხელით წაართვა პისტოლეტი და რამდენჯერმე ესროლა, რადგან ფიქრობდა, რომ დ. რ.-ს ჰქონდა მეორე იარაღი, რომელსაც მის წინააღმდეგ გამოიყენებდა. მიყენებული ჭრილობების შედეგად დ. რ. ადგილზევე გარდაიცვალა.

სასამართლო კოლეგიამ განაჩენში მიუთითა, რომ ა. მ.-ის მოქმედება, მის მიერ დ. რ.-სთვის იარაღის წართმევამდე, იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, შემდეგ კი მან გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რამდენადაც იარაღის წართმევის შემდეგ დ. რ.-ის მხრიდან ა. მ.-ზე ხელყოფა აღარ იყო რეალური და იმწუთიერი.

არასწორია სასამართლო კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ა. მ.-ის მოქმედება, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის აღმოცენების შემდეგ, როცა მან იარაღი წაართვა დ. რ.-ს და მისი მიმართულებით მოახდინა გასროლები, აშკარად შეუსაბამო იყო მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. აღნიშნულის საფუძველად კოლეგიას მიაჩნია, რომ ა. მ.-ის ვარაუდი, დ. რ.-ის მიერ მეორე იარაღის ამოსაღებად წინ გადახრასთან და მის საწინააღმდეგოდ გამოყენებასთან დაკავშირებით, არარეალური იყო, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ დ. რ.-ს მეორე იარაღი არ ჰქონია.

დიდი პალატა თვლის, რომ ა. მ.-ის მხრიდან იარაღის წართმევით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ა. მ.-ზე თავდასხმა იყო მართლსაწინააღმდეგო ხასიათის, რეალური და იმწუთიერი. ა. მ.-ის მიერ დ. რ.-სთვის იარაღის წართმევის შემდეგაც მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე განვლილი არ იყო და იგი რეალურად იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ვინაიდან დ. რ.-ის მხრიდან ა. მ.-ზე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის განხორციელება შესაძლებელია იარაღის გარეშეც გაგრძელებულიყო, რის გამოც ა. მ. იძულებული იყო, წართმეული იარაღი გამოეყენებინა დ. რ.-ის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. მან დ. რ.-ის მიმართულებით გასროლები მოახდინა მისგან თავდაცვის მიზნით. ა.მ.-ის მხრიდან უკიდურესი მდგომარეობით გამოწვეული თავდაცვის სურვილი, რაც განაჩენში მითითებული მისი აქტიური მოქმედებებით (თავდასხმელ დ. რ.-სთვის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებების მიყენებით) გამოიხატა, განპირობებული იყო მასზე განხორციელებული დ. რ.-ისა და ა. ყ.-ის მართლსაწინააღმდეგო თავდასხმით და არა მარტო ა. მ.-ის სუბიექტურ წარმოდგენაში, არამედ ობიექტურადაც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ექცევა.

მოღერებული იარაღის წართმევა თავდამსხმელისათვის არ უნდა შეფასდეს საფრთხის გაუვნებელყოფად, თუკი არსებობდა იმის რეალური ვარაუდი, რომ თავდასხმა გაგრძელდებოდა, ხოლო ამ დროს ჩადენილი მკვლელობა არ უნდა დაკვალიფიცირდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობად, არამედ უნდა შეფასდეს სსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობად, რის გამოც ა. მ.-ს უნდა მოეხსნას სსკ-ის 107-ე მუხლით (1960 წლის კოდექსი) წარდგენილი ბრალდება.

ამასთან, მსჯავრდებულ ა. მ.-ს წინასწარ არ შეიძლება ზუსტად სცოდნოდა, დ.რ.-ს ჰქონდა თუ არა მეორე იარაღი. მისი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ა. ყ. და დ. რ. იყვნენ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები და ეს უკანასკნელი პოლიციის მიერ სხვა ქმედების ჩადენისათვის იძებნებოდა, რეალურია. მისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ დ. რ. შეიარაღებული დადიოდა. გარდა ამისა, მანქანაში იმყოფებოდა მესამე პირი – გ. ბ., რომელიც ასევე დ. რ.-ს ახლდა და ა. მ.-მ არ იცოდა, შეიარაღებული იყო თუ არა აღნიშნული პიროვნება.

დიდ პალატას ასევე მიაჩნია, რომ ა. მ.-ს არ ჩაუდენია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მან დ. რ.-ს წაართვა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც შემდეგ გადააგდო. მსჯავრდებულის ჩვენება, რომ მან აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი ატარა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არ შეიძლება გახდეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში მისი დამნაშავედ ცნობის საფუძველი. ამიტომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1999 წლის კოდექსი) წარდგენილ ბრალდებაშიც.

ა. მ.-ს უფლება აქვს, მოითხოვოს რეაბილიტაცია და სისხლის სამართლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე-233-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 560-ე მუხლით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 562-ე და 568-ე მუხლებით,

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. მ.-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. მ.-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

დაზარალებულების უფლებამონაცვლეების – ნ. რ.-სა და რ. ყ.-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ტ. ც.-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 სექტემბრის განაჩენი ა. მ.-ის მიმართ გაუქმდეს და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს.

ა. მ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.